აგროსერვის ცენტრის გაზეთი

# გუთნისდედა

ერთად დავუბრუნოთ სიცოცხლე სოფელს!

WWW.AGROSC.GE

№10 (16) აპრილი, 2015 წელი

# სოფლის მეურნეობის სამინისტროს პოლიტიკა –

## ძლიერი კოოპერატივი და ძლიერი აგრობიზნესი



„ჩვენ არ ვახორციელებთ სოციალურ პროგრამებს, გათვლა გვაქვს ფერმერების ბიზნეს-იდეების რეალიზებაზე“ – აცხადებს აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი ზაურ ფუტკარაძე. მისი უწყება წელს ნახევარ მილიონ ლარზე მეტს ხარჯავს იმ ფერმერების გაძლიერებაზე, რომლებიც აგრობიზნესის მიმართულებით მუშაობენ. მთავარ აქცენტს კი, მინისტრი ახალი კოოპერატივების შექმნაზე აკეთებს.

მე-2 გვერდი

## ფერმერებს მოკლე ტექსტური შეტყობინებებით „აგრონიუსები" და აგრორჩევები დაეგზავნებათ

მოკლე ტექსტური შეტყობინებებით იგეგმება ინფორმაციის მიწოდება აგროვადების, სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგრამებისა და ქვეპროგრამების შესახებ, ცხოველთა ვაქცინაციისა და ტრენინგების თაობაზე, აგრეთვე ინფორმირება აგროსესხებისა და გრანტების შესახებ. შესაძლოა, ფერმერების გაფრთხილება მოსალოდნელი უამინდობის ან სეტყვის თაობაზეც მსგავსი შეტყობინებების მეშვეობით მოხდეს.

მე-3 გვერდი



## რატომ უნდა გავსხლათ მანდარინის ხე

### აგრორჩევები „აგროსერვის ცენტრისგან“

თუ მანდარინის ბაღი გაქვთ და გსურთ, თქვენი ბაღი უფრო შემოსავლიანი გახდეს, ხოლო მანდარინის ხე უფრო მეტად ჯანსაღი, აუცილებელია იგი ყოველწლიურად გასხლათ. გასხვლა მეწლეულობას არეგულირებს.

როგორც წესი უხვი მსხმოიარეობის შემდეგ მცენარეზე ახალგაზრდა ყლორტები არ წარმოიქმნება ან უმნიშვნელო რაოდენობით ვითარდება, ეს კი იმის მანიშნებელია, რომ მომდევნო წელს მცირე რაოდენობის მოსავალს მიიღებთ. სწორმა გასხვლამ კი, შესაძლოა 30-35%-ით გაგიზარდოთ მსხმოიარობა და შეამციროს მეწლეულობა. ამისთვის კი საჭიროა, მანდარინის ხეს, დაბალი მოსავლიანობის შემდეგ, შეუმცირდეს გასული წლის ნაზრდების ნაწილი.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შედეგი, რაც მანდარინის გასხვლას ახლავს თან, ხის გაჯანსაღებაა. ხშირი ვარჯი ხელს უშლის საკმარისი რაოდენობის სინათლის შეღწევადობას ნაყოფამდე, არ ატარებს ჰაერს და ზრდის ტენიანობას მცენარის ირგვლივ.

მე-2 გვერდი

4

### ჯილეხის საწინააღმდეგო უფასო ვაქცინაცია

აჭარაში ჯილეხის დაავადების საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ვაქცინაცია აპრილის შუა რიცხვებიდან იწყება. უფასო ვაქცინაცია აჭარის 6 მუნიციპალიტეტის 54 დასახლებულ პუნქტშია დაგეგმილი.

2

### რატომ უნდა გავსხლათ მანდარინის ხე

უჰაერობა, უსინათლობა და მოძრაობის ნაკლებობა მავნებლებისა და დაავადებებისთვის იდეალური გარემოა. ამიტომ, თუ არ გავსხლავთ მანდარინს, მავნებლებისა და დაავადებების გაჩენის საფრთხე გაიზრდება.

4

### რა უნდა ვიცოდეთ ჯილეხის შესახებ

ჯილეხი იგივე ციმბირული წყლული მწვავედ მიმდინარე, ძალიან საშიში ინფექციური დაავადებაა. სტატისტიკურად, დაავადების შემთხვევაში, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის 60%-ზე მეტი ილუპება. სიკვდილიანობის მაჩვენებელი გაცილებით მაღალი და კრიტიკულია წვრილფეხა პირუტყვსა და ცხენებში. დაავადების შემთხვევაში მათი 90%-ზე მეტი კვდება.

4

### ფასების კვლევა სოფლის პროდუქტებზე

ადგილობრივი ბაზრის გამოკვლევის შედეგად „აგროსერვის ცენტრში“ საბაზისო მონაცემები აკუმულირდება და დამუშავდება, რის საფუძველზეც ფერმერებს მათთვის საჭირო რეკომენდაციები მიეცემათ. გაყიდვების დინამიკის მიხედვით, ფერმერებს შესაძლებლობა ექნებათ დარგონ ახალი კულტურები და მისი რეალიზაცია ადგილობრივ ბაზარზეც მოახდინონ.

3

### მარწყვის კულტურის განვითარება აჭარაში – სათბურების მოწყობის უმარტივესი გზა

სამინისტრომ, სასათბურე ტექნოლოგიების დანერგვის მიზნით, მარწყვის კულტურის წარმოების განვითარების ხელშეწყობა დაიწყო. შეიმუშავა პროგრამა, რომლის ფარგლებში, სამინისტროში არსებული სპეციალური კომისია რამდენიმე ფერმერს შეარჩევს და მარწყვის სათბურის მოსაწყობად ტექნიკურად უზრუნველყოფს – 200 მ² სათბურის კონსტრუქციას, ტექნიკურ საშუალებებთან ერთად უსასყიდლოდ გადასცემს.

# სოფლის მეურნეობის სამინისტროს პოლიტიკა – ძლიერი კოოპერატივი და ძლიერი აგრობიზნესი

„ჩვენ არ ვახორციელებთ სოციალურ პროგრამებს, გათვლა გვაქვს ფერმერების ბიზნესიდეების რეალიზებაზე" – აცხადებს აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი ზაურ ფუტკარაძე. მისი უწყება წელს ნახევარ მილიონ ლარზე მეტს ხარჯავს იმ ფერმერების გაძლიერებაზე, რომლებიც აგრობიზნესის მიმართულებით მუშაობენ. მთავარ აქცენტს კი, მინისტრი ახალი კოოპერატივების შექმნაზე აკეთებს.



**– ბატონო ზაურ, რატომ ფიქრობთ რომ კოოპერატივების შექმნა სარგებლის მომტანია ფერმერისთვის და აგროსფეროსთვის?**

– თუ აგროგანვითარებაზე ფიქრობს ქვეყანა, კოოპერატივების ამოქმედება ყველაზე ეფექტური ხერხია. ამიტომაც, ყოველ წელს, ჩვენს პრიორიტეტებში კოოპერატივების საკითხს უმთავრესი ადგილი უჭირავს. სამწუხაროდ, კოოპერატივებს ხშირად საზოგადოება კომუნისტურ კოლმეურნეობებთან აიგივებს, ეს დიდი შეცდომაა. რა თქმა უნდა კოოპერატივი კოლმეურნეობის მსგავსი გაერთიანება არ არის. ეს გახლვათ ერთი ინტერესის მქონე ფერმერების ერთობა და მათი ძალების მაქსიმალური აკუმილირება, რაც ეფექტურ გავლენას ახდენს ბიზნესის განვითარებაზე. ყოფილ საბჭოთა ტერიტორიაზე აჭარის რეგიონი ყველაზე მჭიდროდ დასახლებული ადგილია. აქაური ფერმერები მცირემიწიანები არიან. სწორედ ამიტომ, კოოპერატივების ჩამოყალიბება და მცირემიწიანი ადამიანების გაერთიანება ძალიან კარგი საშუალებაა უკეთესი შედეგების მისაღწევად. ამის დასადასტურებლად მოვიყვან პრიმიტიულ მაგალითს: დავუშვათ, ადამიანმა დაამუშავა მიწა და დაიქირავა ტრაქტორი. მას ეს კონკრეტული თანხა დაუჯდება. თუმცა, თუ ტრაქტორს კოოპერატივი დაიქირავებს, ხარჯები შემცირდება, რადგან გადასახდელ თანხას რამდენიმე ფერმერი გაინაწილებს.

**– რა ტიპის კოოპერატივები ფუნქციონირებს რეგიონში, თქვენ რა მიმართულებით მუშაობთ?**

– მთავარი დარგობრივი გაერთიანებების შექმნაა. მაგალითისთვის, მეთევზეობა ავიღოთ. რეგიონში იყვნენ მეწარმეები, რომლებიც შესაბამისი ტექნიკის უქონლობის გამო, ვერ ახერხებდნენ ნედლი თევზის დედაქალაქში ჩატანას. ეს კი ავტომატურად ნიშნავდა მცირე წარმოებას. რა შეიცვალა მას შემდეგ, რაც მეთევზეთა ნაწილმა კოოპერატივი შექმნა? მათ გაეროს გრანტი მიიღეს, შეისყიდეს სპეციალიზირებული ძვირადღირებული ტექნიკა, რომელიც აუცილებელია ცოცხალი თევზის ტრანსპორტირებისთვის. ერთ ფერმერს ამ მანქანის ღირებულების დასაფარად წლები დასჭირდებოდა, რადგანაც იგი იმდენ თევზს ვერ აწარმოებს, რომ ავტომანქანა ყოველდღე დატვირთული ჰქონდეს და აწარმოოს პროდუქციის რეალიზება. დაახლოებით 10-15 დღე მოუწევდა ამ მანქანის გაჩერება. ახლა კი, ყოველდღე, ეს მანქანა კოოპერატივის თითო წევრის პროდუქციას ემსახურება, ავტომანქანის ხარჯები კი ნაწილდება. ჩვენი ყველა მიზნობრივი პროგრამა ისეა შედგენილი, რომ მასში ჩართვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმი სწორედ კოოპერატივის შექმნაა.

**– რა მიზნობრივ პროგრამებს სთავაზობთ წელს ფერმერებს, რა პრიორიტეტები აქვს 2015 წელს სოფლის მეურნეობის სამინისტროს?**

– ჩვენი პრიორიტეტია მსოფლიოში აგრომიმართულებით არსებული ყველა სიახლე გავაცნოთ ჩვენს ფერმერებს და პროდუქტის ხარისხი ავამაღლოთ. წელს სამი მთავარი მიმართულება გვაქვს: მეცხოველეობისა და მემცენარეობის განვითარება და ფერმერების ტექნიკური უზრუნველყოფა. მაგალითად, მემცენარეობაზე ვისაუბროთ. წელს გავზარდეთ მოთხოვნები, გვინდა ფერმერებმა ბაღები გააშენონ. მოსახლეობა დარწმუნდა, რომ ვიცით ჩვენი საქმე და გვენდობიან. ამიტომ, გვსურს არა ერთეული ძირი ნერგი მივცეთ ფერმერებს, არამედ სამრეწველო ბაღები გავაშენებინოთ. ვიცით, სად რა სახის კულტურა მოდის და რამდენი. კონსულტაციებს გავუწევთ ფერმერებს, ქვეპროგრამებით გადავცემთ ნერგებს და დავეხმარებით ბაღების გაშენებაში. ამ სფეროს განვითარებაში ხელს გვიშლის ის ფაქტი, რომ აჭარაში მიწის რეფორმა არ განხორციელებულა.

**– მიწის პრივატიზაციის დასრულებას დიდი ხანია ითხოვს მოსახლეობა, თქვენ თუ მიგიმართავთ კანონმდებლებისთვის?**

– ვმუშაობთ, რომ მაღალმთიან რაიონებში პრივატიზაციის პროცესი დაჩქარდეს, ეს შედარებით ადვილია სოფლებში, იქ ყველა ფერმერმა იცის მისი მიწის საზღვარი. რაც შეეხება ხელვაჩაურს, ქობულეთსა და ბათუმს, აქ ცოტა რთული სამუშაოა. თუმცა დავუბრუნდეთ ქვეპროგრამებს. მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი პროგრამები არაა სოციალური ხასიათის, ისინი ფერმერების ბიზნესიდეებსა და შესაძლებლობებზეა გათვლილი.

**– როგორია ფერმერების დაინტერესება და ჩართულობა?**

– თითოეულ თემსა და სოფელს ინდივიდუალური მიდგომა სჭირდება და ყველაფერს ვაკეთებთ ინფორმაციის გავრცელებისთვის. წარსულს ჩაბარდა ფერმერების მცირე ჩართულობა, პირიქით, ახლა ძალიან დიდი დაინტერესებაა მათი მხრიდან. ფერმერი თავისი ბუნებით კონსერვატორია და ყოველთვის ერიდება სიახლეებს. ეს ეტაპი, მეტ-ნაკლებად, გადავლახეთ, უნდობლობა და ზერელე დამოკიდებულება შეიცვალა. ეს კარგი შედეგია.

**– ჩვენ ვსაუბრობთ მაღალი ხარისხის და რაოდენობის პროდუქტის მოყვანაზე, თუმცა როგორია გასაღების ბაზარი და რამდენად ჯანსაღია კონკურენცია? ფალსიფიცირებული და ხარისხიანი პროდუქტის დიფერენციაციას სახელმწიფო არ ახდენს, ფერმერი პროდუქტს ვერ ყიდის.**

– იცით, რომ ჩვენმა ქვეყანამ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. შესაბამისად, სამინისტროს გაწერილი აქვს გეგმა პრობლემების დასაძლევად. მიმდინარე წლის 1-ლი იანვრიდან, სურსათის უვნებლობის სამსახურმა დაიწყო შემოწმებებისა და კვლევების ჩატარება. ცუდი შედეგები მივიღეთ, ღვინოც კი არ მოწმდებოდა. ნატურალური იყო თუ არა სასმელი, ამას მეორე დღეს ვადგენდით, ჩვენი ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით. ახლა დაიწყო ყველა პროდუქტის შემოწმება, მაგრამ ეს დროში გაწერილი პროცესია და ცვლილებები ეტაპობრივად უნდა მოხდეს. ერთ დღეს რომ ამოვიღოთ ყველა ფალსიფიცირებული პროდუქტი, სექტორის პარალიზება მოხდება. ჩვენ პარალელურად ვმუშაობთ ფერმერებთან მაღალხარისხიანი, ბიოლოგიურად სუფთა და დიდი რაოდენობის პროდუქციის მოყვანაზე. ზემოთაც აღვნიშნე, რომ დავიწყეთ შემოწმებების სერია, აგრეთვე ვმუშაობთ კანონებზე, რომლებიც ბაზრის გაჯანსაღებას შეუწყობს ხელს.

# რატომ უნდა გავსხლათ მანდარინის ხე

## აგრორჩევები „აგროსერვის ცენტრისგან"

მანდარინის გასხვლით უმჯობესდება ნაყოფის ხარისხი, ფერი და გემო; იზრდება სტანდარტული ნაყოფის პროცენტული რაოდენობა, მცირდება დანახარჯები მოვლის, შეწამვლის და მოსავლის აღების დროს; ასევე იქმნება დაავადებებისა და მწერების გავრცელების ნაკლები შესაძლებლობა.

### ხის დაავადების პრევენცია

უჰაერობა, უსინათლობა და მოძრაობის ნაკლებობა მავნებლებისა და დაავადებებისთვის იდეალური გარემოა.



ამიტომ, თუ არ გავსხლავთ მანდარინს, მავნებლებისა და დაავადებების გაჩენის საფრთხე იზრდება. რბილქსოვილიანი მავნებლები ხშირ ვარჯში მრავლდებიან და იმალებიან. გასხვლა და ვარჯის გამოხშირვა იმ დონემდე ამცირებს ავადობების საფრთხეს, რომ საშუალებას გაძლევთ ნაკლები რაოდენობით, ან საერთოდ აღარ გამოიყენოთ თქვენი მანდარინისთვის პესტიციდები.

### როგორ უნდა გავსხლათ მანდარინი

აუცილებელია მანდარინის ხეს მოვაშოროთ არაპროდუქტიული ტოტები. უნდა მოვჭრათ გრძელი, მსხვილი, კარგადგანვითარებული ტოტები, რომლებიც მოიხმარენ დიდი რაოდენობის საკვებს, თუმცა დაბალი ხარისხის და დიდი ზომის, შიგნიდან გამომშრალ, ფუყე მანდარინებს იძლევიან.

გასხვლა ტარდება ორი წესით: გამოხშირვით, როცა ტოტებს მთლიანად აშორებენ და დამოკლებით, როცა ტოტებს აცლიან განსაზღვრულ ნაწილს.

მანდარინის ხე უნდა გაისხლას ფრთხილად, რადგან მას გააჩნია ნაზი კანი. ტოტების მოჭრის დროს სასხლავი მაკრატლის მჭრელი ნაწილი მიმართული უნდა იყოს ხისკენ, რათა არ დაზიანდეს ტოტის ნაწილი. მსხვილი ტოტების გასხვლის დროს, ჩამოტყდომებისა და დარჩენილი ნაწილის დაზიანების თავიდან ასაცილებლად, ტარდება სამჯერადი ჭრა.

მცენარის ფორმირება სანერგედან იწყება. ნერგის გადაჭრა ხდება დარგვის დროს. თუ ღერო წვრილი და გრძელია, ამ შემთხვევაში გადაჭრა ხელს უწყობს განივი და დაბალი ვარჯის განვითარებას, რომლის მოვლა და მოსავლის აღება უფრო ადვილია. ახალგაზრდა მცენარის სწორად ფორმირებისთვის მიწისკენ მიმართული ტოტები უნდა მოიჭრას, რათა განვითარდეს ზემოთ მიმართული ტოტები. ამისთვის ტოტი უნდა გადაიჭრას იმ იღლიის კვირტის შემდეგ, რომელიც ზემოთ არის მიმართული, რაც ხელს შეუწყობს კომპაქტური ვარჯის წარმოქმნას, რომლის ტოტები მიწიდან დაცილებული იქნება 55-75 სმ-ის სიმაღლეზე.

სასურველი ფორმის ვარჯის მიღებისთვის, რეგულარულად უნდა ტარდებოდეს მისი არასწორად განვითარებული და გამახშირებელი, ზედმეტი ტოტების მოცილება.

აუცილებელია მცენარეს წლის განმავლობაში მოშორდეს ფერშეცვლილი, დაზიანებული, გადახლართული, ქვედა ტოტების დამჩრდილავი, გამხმარი და ქვედა ნაწილში – შტამბზე განვითარებული ტოტები.

როგორ მოვიქცეთ, თუ მანდარინმა ყინვა გადაიტანა და დაზიანდა? ასეთ შემთხვევაში მანდარინი არ ისხვლება მანამ, ვიდრე გაზაფხულის ზრდა არ გვიჩვენებს დაზიანების ადგილებს.

### გასხვლის ვადები

მანდარინი უნდა გაისხლას ადრე გაზაფხულზე, ვეგეტაციის დაწყებამდე, როცა აღარ არის ყინვების საფრთხე. თუ ზამთარი უჩვეულოდ თბილია, ამ დროსაც შეიძლება მისი გასხვლა, თუმცა ოპტიმალური დრო მაინც თებერვალი და მარტია. აგროვადების დაცვა აუცილებელია, რადგან თუ ცოტა ადრე გასხლავ მანდარინს, შესაძლოა იგი კიდევ უფრო დააზიანოთ.

# მარწყვის კულტურის განვითარება აჭარაში

მარწყვი ერთ-ერთი კარგად გაყიდვადი პროდუქტია ქართულ ბაზარზე. ყოველწლიურად, ქვეყანაში 30 მილიონი დოლარის ღირებულების მარწყვის იმპორტირება ხდება. ეს ციფრი იმ ფაქტს ადასტურებს, რომ ხილი საქართველოში პოპულარობით სარგებლობს. მარწყვი წლის ნებისმიერ დროს დიდი რაოდენობით იყიდება, მისი ღირებულება კი, ყველა სხვა ხილის ფასზე მაღალია. იმ დროს, როცა მარწყვის სეზონი არაა, მოსახლეობა უცხოეთიდან შემოტანილ პროდუქტს ყიდულობს, რადგან ადგილზე მისი დიდი ოდენობით მოყვანა არ ხდება.



„აგროსერვის ცენტრმა“ აჭარაში მარწყვის სადემონსტრაციო სათბურები მოაწყო, სადაც სპეციალისტებმა ბიოლოგიურად სუფთა პროდუქტის მოყვანის ტექნოლოგიები შეიმუშავეს. თუმცა სადემონსტრაციო სათბურების მოწყობის მთავარი მიზანი მაინც ფერმერების გადამზადება, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა-ათვისება იყო, ასევე მათი დარწმუნება, რომ მარწყვის სათბურების მოწყობა დიდ მოსავალს და შემოსავალს უზრუნველყოფდა. „დაინტერესება ფერმერების მხრიდან დიდია, ხშირად დადიან ჩვენთან და აკვირდებიან მარწყვის მოყვანის პროცესს, ეცნობიან ტექნოლოგიებს. ჩვენი მიზანი იყო უმოკლეს ვადებში, რაც შეიძლება ბევრი ფერმერისთვის გვეჩვენებინა, როგორ მოიყვანონ ხარისხიანი პროდუქტი, აგვეხსნა მათთვის ამ საქმიანობის უპირატესობები და ჩაგვერთო ისინი ამ პროცესში“, – აცხადებს „აგროსერვის ცენტრის“ კონსულტანტი ალექსანდრე გეგუჩაძე.

რადგან საბაზისო სამუშაო „აგროსერვის ცენტრმა“ უკვე შეასრულა და ფერმერების დაინტერესება გაიზარდა, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, ფერმერულ მეურნეობებში სასათბურე ტექნოლოგიების დანერგვის მიზნით, მარწყვის კულტურის წარმოების განვითარების ხელშეწყობა დაიწყო. შეიმუშავა პროგრამა, რომლის ფარგლებში, სამინისტროში არსებული სპეციალური კომისია აჭარის ტერიტორიაზე რამდენიმე ფერმერსა და აგრომეწარმეს შეარჩევს. შერჩეულ ფერმერებს კი, მარწყვის სათბურის მოსაწყობად ტექნიკურად უზრუნველყოფენ – მათ 200 $მ^2$ სათბურის კონსტრუქციას გადასცემენ.

სასათბურე კონსტრუქცია შედგება პოლიეთილენის ფირისგან, მულჩფირისგან, 2-ტონიანი სარწყავი ავზისგან, წვეთოვანი სარწყავი მილებისა და წყლის საქაჩი ტუმბოსგან. სათბურის მოწყობის შემდეგ, ფერმერებს მიეწოდებათ მარწყვის მაღალხარისხიანი ჩითილები და ორგანული სასუქი (ბიოჰუმუსი); ანუ ფერმერს ყველა პირობა ექმნება იმისთვის, რომ რამდენიმე თვეში ბიოლოგიურად სუფთა და მაღალი ხარისხის მარწყვი მოიყვანოს. პარალელურად, შერჩეულ ფერმერსა და აგრომეწარმეს, პროდუქციის შესანახად, სამაცივრე კამერებიც გადაეცემა. ისინი აგრორჩევებსაც სისტემატურად მიიღებენ.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგრამით, ასეთ დაფინანსებას რეგიონის მასშტაბით მხოლოდ რამდენიმე ფერმერი მიიღებს, რადგან პროგრამა 4 ერთეული მარწყვის სათბურის მოწყობას ითვალისწინებს. ის საკმაოდ ძვირადღირებული პროექტია – ერთეული სათბურის მოწყობა 25 650 ლარი ჯდება, თუმცა ფერმერი ამ თანხიდან, მხოლოდ 5 130 ლარს გადაიხდის.

თუ პროექტით დაინტერესებულმა ფერმერმა კომისიის შერჩევის პროცესი გაიარა, წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმი დააკმაყოფილა და პროგრამაში მოხვდა, მაშინ მან თავისი თანამონაწილეობის ფარგლებში, სასათბურე მეურნეობის მოწყობის სამუშაოები უნდა ჩაატაროს. ეს სათბურებისთვის ადგილის შერჩევასა და მომზადებას გულისხმობს. გარდა ამისა, მან სათბურის საძირკველი ბეტონით უნდა მოაწყოს და სათბურის კონსტრუქცია დაამონტაჟოს. მისი მოვალეობაა აგრეთვე სათბურის ელექტროენერგიითა და სარწყავი წყლის სტაბილური მიწოდებით უზრუნველყოფაც.

# „გვინდა ფერმერებმა სამრეწველო ბაღები გააშენონ“

## სოფლის მეურნეობის დარგის პრიორიტეტული მიმართულებები 2015 წელს

ფერმერებს, რომლებიც მემცენარეობით არიან დაკავებულნი რეგიონში, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო საშუალებას აძლევს იმ ოთხ ქვეპროგრამაში ჩაერთონ, რომლებსაც უწყება 2015 წელს ახორციელებს. თუ თქვენ დაბალმოსავლიანი და ამორტიზირებული ბაღი გაქვთ, შეძლებთ იგი ახალი და პერსპექტიული კულტურებით გაააახლოთ. აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის, ზაურ ფუტკარაძის თქმით, ბოლო წლების განმავლობაში ფერმერებს მხოლოდ სხვადასხვა კულტურის 10-15 ძირი ნერგით უზრუნველყოფდნენ, წელს კი – პრიორიტეტი შეიცვალა. იგი თვლის, რომ ფერმერებს უფრო მეტი შანსი უნდა მიეცეთ განვითარებისთვის. „აღარ გვაკმაყოფილებს მცირე რაოდენობით ნერგების გაცემა, ამიტომ წელს მოთხოვნები გავზარდეთ და გვინდა ფერმერებმა სამრეწველო ბაღები გააშენონ. მოსახლეობასა და სამინისტროს შორის არსებული ჩატეხილი ხიდი აღდგა. ფერმერებს ჩვენი ნდობა გაუჩნდათ. ორი წლის წინ გლეხს 2-3 ძირი მოცვი მივეცით და ავუხსენით, რა ჯიშის იყო, რამდენს ისხამდა და ა.შ. მან ზუსტად ის შედეგი მიიღო, რაც ჩვენ ვუთხარით. ამიტომ, ახლა მეტს ვითხოვთ. გვინდა 1-2 ძირი კი აღარ წაიღონ ფერმერებმა, არამედ სამრეწველო ბაღები გააშენონ, უხვი მოსავალი მიიღონ და ეს საქმე ბიზნესად აქციონ. ჩვენ კონსულტაციებს გავუწევთ, რეკომენდაციებს მივცემთ და დავეხმარებით ამ ტიპის ბაღების გაშენებაში“, – აცხადებს ზაურ ფუტკარაძე.

აჭარის ბუნებრივ-კლიმატური პირობები სხვადასხვა სახეობის ხეხილოვანი კულტურებიდან მაღალხარისხიანი პროდუქციის მიღების შესაძლებლობას იძლევა. მაღალი ხარისხის პროდუქცია კი ყოველთვის მოთხოვნადია, როგორც ადგილობრივ, ასევე სხვა ბაზრებზე. რეგულაციების გამო, ექსპორტზე მხოლოდ ბიოლოგიურად სუფთა და ხარისხიანი პროდუქტის გატანაა შესაძლებელი. ნებისმიერ დაინტერესებულ ფერმერს, რომელიც მიწას ამუშავებს, შეუძლია მაღალი ხარისხის პროდუქტი მოიყვანოს. ამისთვის მან აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს უნდა მიმართოს, სადაც თანაგადახდის პრინციპით, მრავალწლოვანი ხეხილოვანი კულტურების ნერგებით უზრუნველყოფენ.

პროგრამის ფარგლებში 32 000 ძირი თხილის ნერგი გაიცემა. მისი ერთეული ძირის ღირებულება 0.70 ლარია, თუმცა თანადაფინანსებით ფერმერს მხოლოდ 21 თეთრის გადახდა მოუწევს. ასევე გაიცემა 10 100 ნერგი კაკალი, ერთი ძირის ფასი 10 ლარია, მაგრამ ფერმერს ერთ ნერგში მხოლოდ 3 ლარი დაეხარჯება. ლურჯი მოცვის მოყვანით დაინტერესებულ პირებს 10 500 ძირის შესყიდვა შეეძლებათ. მისი საცალო ფასი 7 ლარია, თანადაფინანსებით კი, ფერმერის გადასახდელი თანხა 2 ლარი და 10 თეთრი იქნება.

ეს გახლდათ ინფორმაცია იმ ფერმერებისთვის, ვინც ახალი ბაღების გაშენებას გადაწყვეტს, თუმცა სოფლის მეურნეობის სამინისტროს წლევანდელი პრიორიტეტი მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება და იგი ფერმერთა და აგრომეწარმეთა სასათბურე კონსტრუქციებით უზრუნველყოფასაც გულისხმობს.

თუ თქვენ გადაწყვიტეთ აგრობაზარზე გასაყიდი ბოსტნეული მთელი წლის განმავლობაში აწარმოოთ, მაშინ სათბურების მოწყობა დაგჭირდებათ. ღია გრუნტში წარმოებული ბოსტნეული სეზონური ხასიათისაა და მხოლოდ ზაფხულის პერიოდის შემჭიდროვებული ვადებით შემოიფარგლება. მთელი წლის განმავლობაში მის მოსაყვანად, სამინისტრო მარტივი ტიპის სასათბურე კონსტრუქციებს გთავაზობთ.

სათბურის მოწყობა, თქვენს შემოსავლებს გაზრდის, რადგანაც არასეზონური ბოსტნეულის ღირებულება ზამთარში ორმაგდება. ამასთან, ბაზარზე ადგილობრივი, ბიოლოგიურად სუფთა პროდუქტი შემოტანილ ბოსტნეულს კონკურენციას გაუწევს და ნაწილობრივ ჩაანაცვლებს.

სასათბურე მეურნეობის მოსაწყობად სამინისტრო 250 ერთეულ სათბურის კონსტრუქციას (ლითონის კარკასი და პოლიეთილენის ფირი) გადაანაწილებს. თითოეული მათგანი 50 $მ^2$ -ის ფართობისაა და იგი დაინტერესებულ ფერმერებს გადაეცემა. ერთეული მარტივი სათბურის ღირებულება 2 000 ლარია, თუმცა თანხების 65 პროცენტზე მეტს სამინისტრო ფარავს. აგრომეწარმეები 600 ლარს დახარჯავენ, სამინისტრო კი 1400 ლარს დაფარავს.



კიდევ ერთი მიმართულება, რასაც სამინისტრო წელს პრიორიტეტულად მიიჩნევს, ხილისა და ბოსტნეულის საშრობი დანადგარების თანადაფინანსებით შეძენა გახლავთ. რეგიონში დღემდე არ ფუნქციონირებს ბოსტნეულისა და ხილის შესანახი ლოჯისტიკური ცენტრები და გადამამუშავებელი საწარმოები. ფერმერები კი მოსავლის რეალიზაციას მოკლე ვადებში ვერ ახერხებენ. პროგრამის ფარგლებში, რეგიონის ფერმერებს 125 ერთეული ხილისა და ბოსტნეულის საშრობი დანადგარი გადაეცემათ, რაც ხელს შეუწყობს ხილ-ბოსტნეულის უდანაკარგო რეალიზაციას და გააუმჯობესებს ჩირის დამზადების ტექნოლოგიას. საშრობის ღირებულება 800 ლარია, თუმცა შეღავათი აქაც მოქმედებს – ფერმერებისა და აგრომეწარმეების გადასახდელი თანხა, თანაგადახდის პრინციპით 240 ლარი იქნება.

# ფერმერებს მოკლე ტექსტური შეტყობინებებით „აგრონიუსები“ და აგრორჩევები დაეგზავნებათ

„აგრონიუსი“ საზოგადოებასთან კომუნიკაციის მორიგი საშუალებაა. „აგროსერვის ცენტრი“ გაეროს დახმარებით ახალ პროექტს იწყებს, რაც გულისხმობს აჭარის რეგიონში მცხოვრები ფერმერების მოკლე ტექსტური შეტყობინებებით ინფორმირებას. მათ სპეციალისტები სიახლეებსა და საჭირო ინფორმაციას ამ გზით მიაწვდიან. „ჩვენი მთავარი მისია ფერმერების კონსულტირებაა და ამ მიზნის მისაღწევად, ყველა შესაძლო საშუალებას ვიყენებთ. მოკლე ტექსტური შეტყობინებების გაგზავნა კი, მათთან კომუნიკაციაში კიდევ უფრო დაგვეხმარება. ეს პროექტი საშუალებას მოგვცემს ფერმერს ვუთხრათ ან შევახსენოთ მნიშვნელოვანი ინფორმაცია, თარიღები და ა.შ. მაგალითად, მივწეროთ, რომ აგროვადების მიხედვით მიწის დამუშავების პერიოდი იწყება ან მოსავლის აღების ვადა იწურება; კონკრეტულ პერიოდში შევახსენოთ ციტრუსის გასხვლის შესახებ, ცხოველების ვაქცინაციის თაობაზე, გავაცნოთ სად და როდის მიმდინარეობს უფასო ვაქცინაციები და ა.შ.“ – აცხადებს „აგროსერვის ცენტრის“ ხელმძღვანელი გოჩა ბერიძე.

მოკლე ტექსტური შეტყობინებების მომსახურების სერვისს, საქართველოში, ძირითადად, დიდი კომპანიები სარეკლამო მიზნით იყენებენ, აგროსფეროში კი ამ რესურსის გამოყენების პრეცედენტი ამ დრომდე არ ყოფილა. „ზოგადად, სარეკლამო შეტყობინებები მოქალაქეებში გაღიზიანებას იწვევს, თუმცა ეს მოკლე ტექსტური შეტყობინება მისგან რადიკალურად განსხვავდება და იგი ფერმერისთვის საჭირო ინფორმაციას შეიცავს, ამიტომ დარწმუნებული ვარ ამ სახის შეტყობინებების მიღება მათთვის ძალიან სასარგებლო და გამოსადეგი იქნება“, – ფიქრობს „აგროსერვის ცენტრის“ ხელმძღვანელი.

სპეციალისტების მიერ შედგენილი მოკლე ტექსტური შეტყობინებების ადრესატების დასადგენად, სატელეფონო ბაზას „აგროსერვის ცენტრი“ თავად აგროვებს, პარალელურად საკონტაქტო ბაზას „აგროსერვის ცენტრს“ რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტიდან აწვდიან. პირველ ეტაპზე, მოკლე ტექსტური შეტყობინებები აჭარაში ფერმერული საქმიანობით დაკავებულ 6 000-მდე აბონენტს დაეგზავნება.

„აგროსერვის ცენტრში“ ვარაუდობენ, რომ ახალი მომსახურების სერვისი კომუნიკაციას და ფერმერების ინფორმაციულობას გაზრდის. რთულია იმის წინასწარმეტყველება, თუ რამდენად ეფექტურად იმუშავებს სერვისი, თუმცა მომავალში, აუცილებლად ჩატარდება გამოკითხვა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მიიღეს ინფორმაცია ამა თუ იმ მომსახურების შესახებ ფერმერებმა.

მოკლე ტექსტური შეტყობინებებით იგეგმება ინფორმაციის მიწოდება აგროვადების, სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგრამებისა და ქვეპროგრამების შესახებ, ცხოველთა ვაქცინაციისა და ტრენინგების თაობაზე, აგრეთვე ინფორმირება აგროსესხებისა და გრანტების შესახებ. შესაძლოა, ფერმერების გაფრთხილება მოსალოდნელი უამინდობის ან სეტყვის თაობაზეც მსგავსი შეტყობინებების მეშვეობით მოხდეს.

# ფასების კვლევა სოფლის პროდუქტებზე



რა იწვევს ბაზარში სოფლის პროდუქტებზე ფასების მატებას და რომელი პროდუქტების წარმოებაა პერსპექტიული აჭარისთვის? ამ და სხვა საინტერესო შეკითხვებზე პასუხის მისაღებად, 11 თებერვლიდან „აგროსერვის ცენტრი“ კვლევას ატარებს. ყოველკვირეულად, გაეროს პროექტის ფარგლებში, უწყების სპეციალისტები ბათუმის აგრარულ ბაზარზე არსებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ფასებს აზუსტებენ. კვლევაში 200-ზე მეტი დასახელების პროდუქცია მოხვდა, რომელთა ნაწილი იმპორტირებულია, მეორე ნაწილი კი – საქართველოში იწარმოება. სპეციალისტები ცდილობენ თითოეული პროდუქციის გასაყიდი ფასის დინამიკის დადგენას. ფასის დაზუსტებისთვის თითოეული დასახელების პროდუქტის ღირებულება 10-ზე მეტ გამყიდველთან ზუსტდება.

„აგროსერვის ცენტრის“ კონსულტანტი თეონა გოგიტიძე ამბობს, რომ: „კვლევის მიზანი პროდუქციის ფასების ცვლილებების გამოვლენა და ამ ცვლილებების მიზეზების დადგენაა. გარდა იმისა, რომ ფასების ცვლილებებს ვიკვლევთ, ჩვენი მიზანია შევისწავლოთ როგორი მოთხოვნაა დასავლეთ საქართველოში წარმოებულ პროდუქციაზე და რამდენად აკმაყოფილებს ეს პროდუქცია ბაზარს, ანუ ვაზუსტებთ არსებული მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობას. ასევე მნიშვნელოვანია გავარკვიოთ, ხარისხობრივად რამდენად კონკურენტუნარიანია ადგილზე წარმოებული პროდუქცია“.

კვლევა უკვე თვე-ნახევარია მიმდინარეობს. ამ ეტაპზე მოკვლევის პროცესია, მონაცემების დათვლას კი „აგროსერვის ცენტრში“ რამდენიმე თვეში შეძლებენ. „კვლევის ანალიზი შესაძლებლობას მოგვცემს გავიგოთ თუ რომელი პროდუქტების წარმოებაა აჭარის რეგიონისთვის პერსპექტიული, რომელ პროდუქტებზეა მაღალი მოთხოვნა და ფასი. შედეგების ანალიზმა ასევე უნდა გვაჩვენოს, რა პრობლემები არსებობს ადგილობრივი პროდუქციის წარმოებაში და როგორ შეიძლება ამ პრობლემის აღმოფხვრა“, – ამბობს თეონა გოგიტიძე.

ადგილობრივი ბაზრის გამოკვლევის შედეგად „აგროსერვის ცენტრში“ საბაზისო მონაცემები აკუმულირდება და დამუშავდება, რის საფუძველზეც ფერმერებს მათთვის საჭირო რეკომენდაციები მიეცემათ. გაყიდვების დინამიკის მიხედვით, ფერმერებს შესაძლებლობა ექნებათ დარგონ ახალი კულტურები და მისი რეალიზაცია ადგილობრივ ბაზარზეც მოახდინონ.

# რა უნდა ვიცოდეთ ჯილეხის შესახებ

ჯილეხი იგივე ციმბირული წყლული მწვავედ მიმდინარე, ძალიან საშიში ინფექციური დაავადებაა. სტატისტიკურად, დაავადების შემთხვევაში, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის 60%-ზე მეტი იღუპება. სიკვდილიანობის მაჩვენებელი გაცილებით მაღალი და კრიტიკულია წვრილფეხა პირუტყვსა და ცხენებში. დაავადების შემთხვევაში მათი 90%-ზე მეტი კვდება. მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ ეს დაავადება ხალხზეც გადადის. ადამიანი, როგორც წესი, ავადმყოფი ცხოველის მოვლის ან დაავადებული ცხოველური პროდუქტების (ხორცი, რძის ნაწარმი) მიღებისას სნეულდება. ადამიანებში უფრო ხშირია კანისა და ნაწლავის დაავადების შემთხვევები.



### როგორ ამოვიცნოთ ჯილეხით დაავადებული ცხოველი

დაავადებაზე მიანიშნებს თავის, გულმკერდის, მხრებისა და მუცლის მიდამოში გაჩენილი შესიება, რომელიც ცხოველისთვის დასაწყისში მკვრივი, ცხელი და მტკივნეულია. მოგვიანებით, ტკივილი ქრება, შესიება კი, ცივი და ცომისებური ხდება. თუ პირუტყვი მანამდე დაეცემა, ვიდრე თქვენ აღმოაჩენთ დაავადების ნიშნებს, ჯილეხის ამოცნობა შემდეგაც შეგიძლიათ. დააკვირდით ლეშს, თუ მან სწრაფად დაიწყო ხრწნა და ბუნებრივი ხვრელებიდან მუქი ალუბლისფერი, ქაფიანი სისხლის გამონადენი შენიშნეთ, რომელიც ძნელად დედდება, ეს დაავადებაზე მიუთითებს (მსგავსი კლინიკური ნიშნების შენიშვნისთანავე მიმართეთ ვეტერინარს). თუ აღმოაჩინეთ, რომ პირუტყვი ჯილეხითაა დაავადებული, მისი გაკვეთა დაუშვებელია, რადგან ამ დროს დაავადების დიდ მანძილზე გავრცელების საშიშროება იქმნება.

### ჯილეხის სპორები და დაავადების გადადების გზები

ჯილეხის გამომწვევი სპორები ძალიან დიდი გამძლეობით გამოირჩევიან. ისინი წლების განმავლობაში ძლებენ წყალში, ხოლო ათეული წელი – ნიადაგში, ამიტომ ვირუსის მექანიკური გადამტანები შეიძლება მღრღნელები, ბუზები და კოღოები გახდნენ. ჯილეხი ვირუსის მატარებელი ცხოველითაც ვრცელდება. დაავადება აღინიშნება წელიწადის თბილ პერიოდში, დაინფიცირებულ საძოვარზე პირუტყვის ძოვის დროს, უფრო კი იქ, სადაც არის ღარიბი, მწირი და მშრალი ბალახი. ჯილეხის შემთხვევები ზამთრის პერიოდშიც ფიქსირდება, თუმცა ეს იშვიათობაა. დაავადების მასობრივად გავრცელების საშიშროება წყალდიდობის შემდეგ იზრდება (ცხოველთა სამარხების გადარეცხვის გამო). აღსანიშნავია, რომ სპორები, რომლებიც იწვევს ჯილეხს, მხოლოდ მაღალი ტემპერატურის წყალზე, ერთსაათიანი დუღილის შემდეგ იღუპება.

### პროფილაქტიკა

ჯილეხის პროფილაქტიკის უმთავრესი ფაქტორია პირუტყვის ვაქცინაცია! მოზრდილი მსხვილი და წვრილი რქოსანი პირუტყვი, აგრეთვე ცხენი და ღორი უნდა აიცრას წელიწადში ერთხელ. ცხოველის დაკვლა ნებადართულია ჯილეხის საწინააღმდეგო აცრიდან 14 დღის შემდგომ.

## ჯილეხის საწინააღმდეგო უფასო ვაქცინაცია

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ჯილეხის დაავადების საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ვაქცინაცია აპრილის შუა რიცხვებიდან იწყება. 2015 წელს, ფერმერებს, რომლებსაც მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი ჰყავთ, შეუძლიათ სურსათის უვნებლობის სამსახურის წარმომადგენლობებს ბათუმში, ქობულეთში, ხელვაჩაურში, ქედაში, შუახევსა და ხულოში მიაკითხონ. უფასო ვაქცინაცია აჭარის 6 მუნიციპალიტეტის 54 დასახლებულ პუნქტშია დაგეგმილი. საორიენტაციო გეგმის მიხედვით, სულ 14 400-მდე ცხოველის ვაქცინაცია უნდა მოხდეს (მათ შორის 14 320 სული მსხვილფეხა პირუტყვი, 70 სული წვრილფეხა და 10 სული ცხენი).

„ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობა და ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია“ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგრამაა. მისი ქვეპროგრამის ფარგლებში ვაქცინაციის კამპანიები უფასოა ცხოველთა მეპატრონეებისთვის. ჯილეხის პროფილაქტიკური ვაქცინაცია, დაავადების კერების, რისკებისა და ჯილეხით ადამიანის დაავადების შემთხვევების გათვალისწინებით, ქვეყნის მასშტაბით ყოველწლიურად ტარდება. საქართველოში ჯილეხით დაავადებულ და დაცემულ ცხოველთა 2 000-ზე მეტი სამარხი და მრავლობითი კერაა რეგისტრირებული.

ცხოველის დაავადების ყოველი ახალი შემთხვევა ახალ ნიადაგობრივ კერას ქმნის, რომელიც ათეულობით წლის განმავლობაში რჩება რისკის მატარებლად. ჯილეხი იწვევს დიდ ეკონომიკურ ზარალს ცხოველთა მეპატრონეებსა და ფერმერებში, რაც გამოიხატება დაავადებული ცხოველების სიკვდილიანობით და მეცხოველეობის პროდუქტების არაკეთილსაიმედოობით, დაავადებას აგრეთვე სოციალური მნიშვნელობაც აქვს.

2014 წელს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში დაავადების საწინააღმდეგოდ 3 130 სული მსხვილფეხა პირუტყვია ვაქცინირებული.

მკითხველის აზრი ჩვენთვის უმთავრესია!
მოგვწერეთ, მოგვაწოდეთ თქვენთვის საინტერესო თემები და წინადადებები ქვემოთ მითითებულ მისამართზე:
საქართველო, ბათუმი (6010) გოგებაშვილის 46ა
ელ.ფოსტა: agroservice.centre@yahoo.com
ტელ.: 592 100 829

WWW.AGROSC.GE

გაზეთში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და არ გამოხატავს ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის თვალსაზრისს.

გაზეთი გამოდის ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის „ENPARD Ajara – სოფლის მეურნეობის განვითარების მხარდაჭერა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში“ ხელშეწყობით

გაზეთი დაკაბადონდა და დაიბეჭდა შპს „სეზანში“
CEZANNE PRINTING HOUSE